ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2011 წლის 22 ივლისი

დაბა ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №22 დადგენილება ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მელიქიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი მტკიცდება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო თანამდებობრივი სარგოები – საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების – განყოფილებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;

ბ) სოციალურ საკითხთა ქვედანაყოფი;

გ) საქმისწარმოების, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების ქვედანაყოფი.

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-10 მუხლითა და მე-13 მუხლის მე-7 პუნქტითა და სამსახურის უფროსის თანამდებობრივი ინსტრუქციით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების უფროსი.

4. სამსახური შედგება განყოფილების უფროსისა და მოხელეებისაგან.

5. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის დავალებით, განყოფილების უფროსის მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი მოხელე.

6. ქვედანაყოფების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესი განისაზღვრება გამგეობის დებულებით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვას, წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე, კერძოდ:

ა) მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში:

– ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას;

– ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების მართვას,

ბ) სოციალურ დაცვის საკითხებში:

– სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– სოციალური დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების მართვას;

გ) ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში:

– ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების დარგში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– ამ სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას;

– დარგის მუნიციპალურ ობიექტთა მართვას;

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების საკითხებში:

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

– მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. მოქმედი კანონმდებლობებითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.